სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/07

(ოქმი N8)

ქ. ბათუმი 15ივნისი2017წ

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს (ტელევიზიის და რადიოს ნაწილში) 2017-2018წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 35[9] მუხლისპირველი პუნქტის „ა" და „კ"ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-121 მუხლების (საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, თავი IX) თანახმად:

1. მიღებულ იქნას სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს (ტელევიზიის და რადიოს ნაწილში) პროგრამული პრიორიტეტების პროექტები თანდართული სახით;

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, რადგან ინდივიდუალურ-ადმინსტრაციული აქტი ეხება პირთა ფართო წრის ინტერესებს, დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს (ტელევიზიის და რადიოს ნაწილში) 2017-2018 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით;

3. წინამდებარე გადაწყვეტილება და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს (ტელევიზიის და რადიოს ნაწილში) 2017-2018 წლების პროგრამული პრიორიტეტების პროექტები განთავსდეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს ვებ-გვერდზე (www.ajaratv.ge).

4. ინფორმაცია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს (ტელევიზიის და რადიოს ნაწილში) 2017-2018 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ (ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ) განთავსდეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს ვებ-გვერდზე (www.ajaratv.ge).

5. გადაწყვეტილება ძალაშია 2017 წლის 15 ივნისიდან.

დანართი:

N1 სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს (ტელევიზიის და რადიოს ნაწილში) 2017-2018 წლების პროგრამული პრიორიტეტების პროექტები.

N2 ინფორმაცია სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს (ტელევიზიის და რადიოს ნაწილში) 2017-2018 წლების პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრასთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ (ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ).

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მ/შ

რუსუდან (ნატა) იმედაიშვილი